



FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG

გზე-ს ანგარიშების საჯარო
განხილვათა სესმობის ოფენის
ანალიზი

2012-2015 წწ.

2016 წლის

შესავალი

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია სავალდებულო ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის ჩამონათვალი. მათ შორისაა: სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, საერთაშორისო და შიდა სახელმწიფო ბრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ანდა მაღალი ძაბვის (35 კვტ და მეტი) საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა; ჰიდროელექტროსადგურისა (2 მვტ-ისა და მეტი სიმძლავრის) და თბოელექტროსადგურის (10 მვტ-ისა და მეტი სიმძლავრის) განთავსება; წყალსაცავის (10 000 კუბ.მ-ისა და მეტი მოცულობის) მოწყობა და ა.შ.¹

დიდი ჰიდროელექტროსადგურებისა და სამრეწველო ობიექტების მშენებლობა, ნავთობსადენებისა და ავტომაგისტრალების გაყვანა, სასარგებლო წიაღისეულის ახალი კარიერების ათვისება და გადამუშავება ბოლო წლებში არაერთხელ გახდა საზოგადოების უკმაყოფილებისა და პროტესტის საგანი. განსაკუთრებული ვწებათაღელვა ახლავს სვანეთში ხუდონპესის მშენებლობის პროექტს, რაზეც ადგილობრივი მოსახლეობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილის პოზიცია ეწინააღმდეგება საქართველოს ხელისუფლების გაცხადებულ გადაწყვეტილებას, რომ ხუდონის ჰიდროელექტროსადგური აუცილებლად უნდა აშენდეს. ხუდონპესის აშენების შემთხვევაში, ადგილზე დაიტომორება რამდენიმე სოფელი, რასაც თან უნდა მოჰყენეს ამ სოფლების მაცხოვრებელთა გადასახლება რეგიონის სხვა სოფლებში, ან ქვეყნის სხვა რეგიონში, სადაც მათი დასახლება და დამკვიდრება დამატებით ხარჯებთან და პრობლემებთან არის დაკავშირებული. როგორც ხუდონპესის, ისე სხვა მსგავსი პროექტების გარშემო სამოქალაქო საზოგადოებას აქვთ გარკვეული კითხვები, რაზეც არასრულყოფილ და ბუნდოვან პასუხებს იღებს. ხელისუფლება ხშირად არ ითვალისწინებს მოქალაქეთა მოთხოვნებს და დიალოგის უგულვებელყოფით,

¹ ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობათა სრული ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს კანონში „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, მუხლი 4 - <https://matsne.gov.ge/document/view/20206>

ცალმხრივად, ფორსირებულად აცხადებს თანხმობას ამათუ იმ მსხვილმასშტაბიანი პროექტის განხორციელების შესახებ. საზოგადოება შეშფოთებულია, რომ ბოლო ხანს ერთგვარ კანონზომიერებად იქცა საზოგადოების აზრის უგულებელყოფა, როგორც ეს მოხდა 2014 წლის 13 დეკემბერს, როდესაც კომპანია RMG Gold-მა საყდრის-ყაჩალიანის უბანზე განხორციელებული რამდენიმე აფეთქებით დაიწყო მაღნის მოპოვება ბორცვზე, რომლის სიღრმეშიც, მეცნიერთა მტკიცებით, მდებარეობს უძველესი (ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულის) ოქროს მაღარო².

მსგავსი პროექტების დაგეგმვის პროცესში ხელისუფლება ან ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიები საზოგადოებას ხშირად სრულყოფილად არ აწვდიან ინფორმაციას, რა შეიცვლება პროექტის განხორციელების შემდგომ, რა ზემოქმედებას მოახდენს ესა თუ ის ჰესი, საწარმო თუ სხვა მსხვილი ობიექტის არა მხოლოდ ბუნებრივ გარემოზე, არამედ ამ ობიექტის გარშემო მცხოვრებ ადამიანებზე, მათ უსაფრთხოებაზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე და ა.შ. ამ ტენდენციაზე მიუთითებს სახალხო დამცველის მიერ მომზადებული დოკუმენტი ხუდონპესის მშენებლობის კანონიერების თაობაზე³, სადაც სხვა მწვავე პრობლემების გარდა, ომბუდსმენი აღნიშნავს, რომ „მაქსიმალურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზოგადოების ადეკვატური, დროული და ეფექტური ინფორმირება გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპზე; ასევე - „მოსახლეობასთან შეთანხმებით უნდა შემუშავდეს ადგილობრივ მაცხოვრებელთა განსახლების სამოქმედო გეგმა, განსახლების პოლიტიკა და მონიტორინგის გეგმა“;

არსებული კანონმდებლობით და პრაქტიკით, ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელებისას, როდესაც არსებობს ბუნებრივი გარემოს ხელყოფისა და დაზიანების რისკი,

2 ინფორმაციისათვის, იხ. რადიო „თავისუფლება“ – „საყდრისი - აფეთქების ქრონიკა“: - <http://www.radiotavisupleba.ge/a/brdzola-sakdrisis-gadasarchenad/26752694.html>

3 დოკუმენტი - „ხუდონპესის მშენებლობის კანონიერება“, იხ. სახალხო დამცველის ვებ-გვერდზე - <http://www.ombudsman.ge/ge/news/xudonhesis-msheneblobis-kanoniereba.page>

სავალდებულოა, საქმიანობის განმახორციელებელმა კომპანიამ მოამზადოს გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ). ამ სამუშაოს, თავის მხრივ, ისინი უკვეთავენ სპეციალიზებულ კომპანიებს, რომლებიც წარმოადგენენ გზშ-ს ანგარიშებს. კანონმდებლობის თანახმად, ასევე, სავალდებულოა, ანგარიშების განხილვა მოწყოს საზოგადოების ჩართულობით, რისთვისაც სავალდებულოა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სხდომის ჩანიშნა და საზოგადოების ინფორმირება ამ სხდომის ჩატარების ადგილის, თარიღისა და დროის თაობაზე. გზშ-ს ანგარიშის განხილვა უნდა დამოწმდეს შესაბამისი ოქმით, რომელიც საჯარო დოკუმენტია და ხელმისაწვდომია ყველასთვის⁴.

**გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ
საქართველოს კანონის⁵ თანახმად, გზშ არის დაგეგმილ საქმიანობაზე დამასაბუთებელი დოკუმენტაციის შექმნისა და ამ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოზე ყოველგვარი მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროს ხასიათისა და ხარისხის განსაზღვრა, აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასება. აღნიშნული კანონის მიზნები პირდაპირ ითვალისწინებს სავალდებულო ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის პროცესში ადამიანის ჯანმრთელობის, ბუნებრივი გარემოს, ასევე კულტურული და მატერიალური ფასეულობების დაცვას. გარდა ამისა, კანონის მიზანია საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სახელმწიფოსა და საზოგადოების ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებული მოქალაქის ძირითადი უფლება – მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობაზე.**

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ

4 ამ საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“.

5 იხ. „საქართველოს მაცნე“ - საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“.

საქართველოს კანონის მე-6 მუხლით, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, გზშ-ის ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსთვის წარდგენამდე მოაწყოს შისი საჯარო განხილვა. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის მიზნით, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, გამოაქვეყნოს დაგეგმილისაქმიანობის შესახებინფორმაცია. ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს როგორც ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, ისე იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება. საქმიანობის განმახორციელებელი, ასევე, ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების შესახებ ოქმის გაფორმება, რომელიც დეტალურად უნდა ასახავდეს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს. გზშ-ს ანგარიშის განხილვის ოქმი საჯარო დოკუმენტია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველომ“ გარემოს დაცვის სამინისტროსგან გამოიხოვა 2012-2015 წლის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები და გზშ-ს ანგარიშების საჯარო განხილვათა ოქმები. მიღებული დოკუმენტების ანალიზის შედეგად, შესაძლებელია არსებული პრაქტიკის შესწავლა, ერთის მხრივ, რა ინფორმაციას მოიცავს გზშ-ს ანგარიშები და მეორეს მხრივ, როგორ ხდება ამ ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის.

გზშ-ს ანგარიშების გაცნობისას თვალსაჩინოა, რომ ამ დოკუმენტებში, მეტწილად, მოცემულია ინფორმაცია, თუ რა გავლენას მოახდენს ესა თუ ის პროექტი ბუნებრივ გარემოზე, კოლოგიაზე, ფლორასა და ფაუნაზე, ლანდშაფტზე. შედარებით ნაკლები ადგილი ეთმობა ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე ზემოქმედებისა და უსაფრთხოების საკითხებს, რაც ამ დოკუმენტების ნაკლოვანებაზე მეტყველებს, რადგან გზშ დაგეგმილი საქმიანობის სოციალური და ეკონომიკური შედეგების კვალიფიციურ, სრულყოფილ შეფასებასაც უნდა მოიცავდეს.

უშუალოდ გზშ-ს ანგარიშების ანალიზი და არსებული ტენდენციების გამოვლენა ცალკე კვლევის საგანია. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია გზშ-ს ანგარიშების განხილვათა სხდომის ოქმების ანალიზი. ამ მიზნით, ბრმა შერჩევის მეთოდით გაანალიზდა 2012-2015 წლის პერიოდში გამართული გზშ-ს ანგარიშების სხდომების ოქმები. კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა, ერთის მხრივ, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმების შესრულების საკითხები, მეორეს მხრივ კი, ამავე კანონის ხარვეზების გამოვლენა. კერძოდ, არსებული კანონმდებლობის პირობებში, რამდენად ხერხდება გზშ-ს ანგარიშების განხილვაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფა ისე, რომ ეკოლოგიური ექსპერტისადმი დაქვემდებარებული ამა თუ იმ პროექტის განხორციელებისას საზოგადოების მიერ წამოჭრილ მტკიცნეულ კითხვებს გაეცეს ამომწურავი პასუხები.

საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირების პრობლემა

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების საჯარო განხილვებისადმი საზოგადოების ინტერესი ბოლო წლებში მატულობს, რაც თავის მხრივ, აჩენს საზოგადოების დაკვეთას, გზშ-ს ანგარიშების განხილვა კიდევ უფრო გამჭვირვალედ და მოქალაქეთა მეტი ჩართულობით ჩატარდეს. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება იმგვარად, რომ გზშ-ს ანგარიშების განხილვის სხდომებს ამ დოკუმენტით დაინტერესებული ყველა სამიზნე ჯგუფი დაესწროს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის, განმახორციელებელი ობიექტის ახლოს მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებას და გზშ-ს ანგარიშების სხდომებში მათ მონაწილეობას.

დღესდღეობით, კანონმდებლობით დადგენილი ნორმაა საზოგადოების ინფორმირება ცენტრალური

და ადგილობრივი პერიოდული ბეჭდური მედიით⁶. ეს ინფორმაცია უნდა შეიცავდეს: ა) დაგეგმილი საქმიანობის მიზნებს, დასახელებასა და ადგილმდებარეობას; ბ) მისამართს, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებს შეძლებათ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მათ შორის, გზშ-ის ანგარიშის, ტექნიკური რეზიუმეს და არატექნიკური რეზიუმეს დოკუმენტური და ელექტრონული ვერსიების) გაცნობა; გ) საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების წარდგენის ვადას; დ) გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის დროსა და ადგილს.

ვინაიდან საზოგადოების ინფორმირების სხვა გზებს კანონი „გარემოზეზემოქმედებისშესახებ“ არითვალისწინებს, ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებელი მხოლოდ გაზეთებში ინფორმაციის გამოქვეყნებით შემოიფარგლება. 2012-2015 წწ პერიოდის გზშ-ის ანგარიშების საჯარო განხილვათა სხდომის ოქმების დიდი ნაწილი არ ასახავს ინფორმაციას, საერთოდ გამოქვეყნდა თუ არა, ან კონკრეტულად რომელ გამოცემაში გამოქვეყნდა ინფორმაცია სხდომის ჩატარების ადგილისა და დროის თაობაზე. ეს ინფორმაცია მხოლოდ ოქმების მცირე ნაწილში გვხვდება, საიდანაც ირკვევა, რომ საქმიანობის განმახორციელებლები ინფორმაციას, ძირითადად, აქვეყნებდნენ შემდეგ გაზეთებში: „24 საათი“, „რეზონანსი“, „საქართველოს რესპუბლიკა“. ზოგიერთი ოქმის თანახმად, მსგავსი ინფორმაცია „საკანონმდებლო მაცნეშიც“ გამოქვეყნდა.

კანონმდებლობა ასევე განსაზღვრავს ინფორმაციის გამოქვეყნებას იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება. ჩვენს მიერ შესწავლილ ოქმებში მხოლოდ რამდენიმეგან იყო ნახსენები რეგიონული გაზეთი „მთავარი ოქმა სამეგრელოში“.

იშვიათია გამონაკლისი, როდესაც საერთაშორისო საპანკო ინსტიტუტების დონაციით განხორციელებული პროექტის შესახებ საზოგადოების ინფორმირება მოხდა საქმიანობის განხორციელების ადგილას მცხოვრები მოსახლეობით დასახლებულ პუნქტებში საინფორმაციო

6 ის.: საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“.

მუხლი 6, პუნქტი 2.

პოსტერების გაკვრის გზით. მსგავსი გამონაკლისი შემთხვევები გამოწვეულია აღნიშნული საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტების მიერ დადგენილი მაღალი სტანდარტებით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის შედეგად პოტენციურად დაზარალებულ პირთა ინფორმირებას.

2014 წ. 18 მარტს, ქალაქ დუშეთში, თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის საავტომობილო გზის 10 კმ - 23 კმ მონაკვეთის რეკონსტრუქციის გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვის ოქმის თანახმად, სხდომაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელმა ადგილობრივი მოსახლეობის არასათანადოდ ინფორმირების პრობლემაზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად არ ეცნობა პრესას. ამიტომ აუცილებელია, მათვის საჯარო განხილვებზე დეტალური ინფორმაციის მიწოდება სხვა უფრო აქტიური გზით. ამასთან დაკავშირებით, გზშ-ს ანგარიშის ავტორი კომპანიის - შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ მომზადებული ოქმის პასუხის გრაფაშიაღნიშნულია: „კომენტარიმართებულია“. თუმცა, ამ პასუხს იქვე მოსდევს დამატებითი განმარტება: „ამასთანავე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების პროცესში, შპს „გამა კონსალტინგმა“ შეასრულა საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობა - მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, საჯარო განხილვის დეტალების გამოაქვეყნა გაზეთში. სხვა სახით მოსახლეობის ინფორმირებას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. შესაბამისად, აღნიშნული შენიშვნა გათვალისწინებული არ არის“.

საზოგადოების არასათანადო ინფორმირების კონკრეტული მაგალითები და ინფორმაციის დეფიციტის შედეგად გამოწვეული საპროტესტო აქციები მიგვანიშნებს, რომ აუცილებელია, დამკვიდრდეს საზოგადოების ინფორმირების უფრო მაღალი სტანდარტი. ამ მიმართულებით შემუშავდა რეკომენდაცია: **ბეჭდურ მედიაში ინფორმაციის გამოქვეყნების გარდა, კანონით განისაზღვროს საზოგადოების ინფორმირების სხვა, უფრო ეფექტური ფორმები:** მოსაწვევების დაგზავნა, კარდაკარი, პოსტერების გაკვრა, ბუკლეტებისა და საინფორმაციო ფურცლების დარიგება, სოციალური რეკლამები და სხვ.

სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 50 და არა უგვიანეს 60 დღისა მოაწყოს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა თავის მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით.

იგივე მუხლი საქმიანობის განმახორციელებელს ავალდებულებს, გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე უზრუნველყოს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დასხვა დაინტერესებული ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელთა წერილობითი მიწვევა.

საზოგადოების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა წერილობითი მოწვევის ვალდებულება საქმიანობის განმახორციელებელს არა აქვს. კანონის მე-5 მუხლი ზოგადად აზუსტებს, რომ „გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე დასწრების უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს“.

სწორედ ამ საკანონმდებლო მოცემულობის შედეგია ის, რომ გზშ-ს ანგარიშების საჯარო განხილვებში ძირითადად მონაწილეობენ: საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიების ხელმძღვანელები; გზშ-ს ავტორი კომპანიის წარმომადგენლები; მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები; გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები; სხვა სამინისტროების წარმომადგენლები. ამავე დროს, ამ უწყებათა წარმომადგენლები განხილვებს ყველა ერთად კი არ ესწრება, არამედ - დაინტერესების მიხედვით.

ბოლო წლებში (2014-2015 წწ.) გზშ-ს ანგარიშების საჯარო განხილვებში განსაკუთრებით აქტიურობს გარემოს დაცვის სამინისტრო, რომელიც საქმიანობის განმახორციელებელს წინასწარ უგზავნის თავის შეფასებებს, რაზეც ადრესატი სწორედ საჯარო განხილვის სხდომაზე პასუხობს. ეს პასუხები შემდეგ შევყნდება საჯარო განხილვათა სხდომის ოქმებში. გარემოს დაცვის სამინისტროს ამგვარი გააქტიურება, ერთის მხრივ, მისასალმებელია, მაგრამ ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ ეს ამ უწყების პირდაპირი ვალდებულებაცაა, ვინაიდან,

კანონმდებლობით, საქმიანობის განმახორციელებელს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას სწორედ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აძლევს. გარემოზე ზემოქმედების ნებართვა არის განუსაზღვრელი ვადით მინიჭებული უფლება, რომელიც გაიცემა საქმიანობის განმახორციელებელზე და საქმიანობის დაწყების სამართლებრივი საფუძველია⁷.

ვინაიდან კანონმდებლობით სათანადოდ გარანტირებული არ არის საზოგადოების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტური ინფორმირება, გზშ-ს ანგარიშების სხდომებს ზოგჯერ კურიოზულად მცირე დამსწრე ჰყავს. მაგალითად, 2012 წ. 3 დეკემბერს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობბაზის გარემოსდაცვითი დამადასტურებელი დოკუმენტაციის განხილვას მხოლოდ 3 ადამიანი ესწრებოდა: ნავთობბაზის მენეჯერი, შპს-ს ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და კომპანიის ერთ-ერთი ბენზინგასამართი სადგურის უფროსი⁸. მსგავსი შემთხვევები არც თუ ისე ცოტაა. კიდევ ერთი მაგალითი: 2013 წ. 5 მარტს შპს „ქართული ცემენტის“ გარემოსდაცვითი დამადასტურებელი დოკუმენტაციის განხილვას ესწრებოდა 3 ადამიანი შპს „ქართული ცემენტის“ მენეჯმენტის საშუალო რგოლიდან. ოქმში ცნობის სახით აღნიშნულია, რომ „სხდომას არ ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები“.

2012-2015 წწ პერიოდის გზშ-ის ანგარიშების საჯარო განხილვების სხდომის ოქმების შესწავლისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ განხილვებში იშვიათად მონაწილეობენ:

1) ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, რომლებიც გზშ-ს ანგარიშის განხილვის თაობაზე ინფორმაციას, უმეტესწილად, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან იგებენ და მათთან ერთად ესწრებიან სხდომას;

2) არასამთავრობო ორგანიზაციები. ოქმების თანახმად, 2012-15 წლების პერიოდში გზშ-ს ანგარიშების სხვადასხვა განხილვაში, ძირითადად, მონაწილობენ არასამთავრობო ორგანიზაციები: „მწვანე ალტერნატივა“, საქართველოს ახალგარდა იურისტთა ასოციაცია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“,

7 იხ. საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ, მუხლი 3, ა.

8 იხ. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობბაზის გარემოსდაცვითი დამადასტურებელი დოკუმენტაციის განხილვის სხდომის ოქმი. 03.12. 2012 წ.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“; 3) ურნალისტები, ძირითადად, საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარე გახმაურებული პროექტებთან დაკავშირებულ გზშ-ს ანგარიშების განხილვებს ესწრებიან, ან მათ ამ სხდომებზე სპეციალურად იწვევენ არასამთავრობო ორგანიზაციები. 4) აკადემიური წრის წარმომადგენლები და სტუდენტები. ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწონენ ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის გზშ-ს ანგარიშების რამდენიმე განხილვას დასავლეთ საქართველოში.

ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის პროექტის სიახლოეს მცხოვრები მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა მონაწილეობა გზშ-ს ანგარიშების საჯარო განხილვებში აუცილებელია ამ პროცესის გამჭვირვალობის კიდევ უფრო გაზრდისა და მოქალაქეთა უფრო მაღალი სტანდარტით ჩართულობის უზრუნველყოფისათვის. შესაბამისად, კვლევისას შემუშავდა რეკომენდაციები:

- 1. საქმიანობის განმახორციელებელს კანონმდებლობით დაევალდებულოს ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის პროექტის სიახლოეს მცხოვრები მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა დაინტერესებული ჯგუფების წერილობითი მოწვევის გალდებულება.**
- 2. კანონმდებლობით, ასევე, განისაზღვროს არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, აკადემიური წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა დაინტერესებული ჯგუფების პირდაპირი, მიზნობრივი ინფორმირება ელექტრონული ფოსტისა და სხვა თანამედროვე საკომუნიკაციო არხებით.**
- 3. გზშ-სანგარიშისსაჯაროგანხილვისსხდომა, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი არ ესწრება, პირველ ჯერზე, უნდა გადაიღოს და გაგრძელდეს საზოგადოების უფრო აქტიური ინფორმირება, რათა შემდეგ ჯერზე მაქსიმალურად გამოირიცხოს გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა დაინტერესებული საზოგადოების გარეშე.**
- 4. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მეტი ძალისხმევა გასწიონ გზშ-ს ანგარიშების განხილვებით**

**საზოგადოების სხვადასხვა აქტიური ფენის
შურზალისტები, აკადემიური წრეები, სტუდენტები
და ა.შ.) წარმომადგენელთა დაინტერესებისათვის.**

სხდომის ოქმების სანდოობა

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ
საქართველოს კანონით საქმიანობის განმახორციელებელი
ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვიდან 5
დღის ვადაში უზრუნველყოს გზშ-ის ანგარიშის საჯარო
განხილვის შედეგების შესახებ ოქმის გაფორმება, რომელიც
დეტალურად უნდა ასახავდეს გზშ-ის ანგარიშის საჯარო
განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს.
ოქმს ხელს აწერენ საქმიანობის განმახორციელებელი (ან
მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი) და შესაბამისი
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, გარემოს
დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები
(გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე მათი დასწრების
შემთხვევაში). საქმიანობის განმახორციელებელი ეცნობა
საზოგადოების წარმომადგენელთა წერილობით შენიშვნებსა
და მოსაზრებებს და ითვალისწინებს მათ არგუმენტებს
გზშ-ის ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბების
პროცესში⁹.

2012-15 წლების პერიოდში გზშ-ს ანგარიშების
ოქმები სხვადასხვანაირად არის შედგენილი. ზოგიერთი
ოქმი ერთგვერდიანია და ხელს მხოლოდ საქმიანობის
განმახორციელებელი აწერს. ხშირია ოქმები, რომელსაც
ხელს აწერს საქმიანობის განმახორციელებელი და მასთან
ერთად იმ კომპანიის წარმომადგენელი, რომელმაც
შოამზადა გზშ-ს ანგარიში. თუკი სხდომას რომელიმე
სამინისტროს ან გამგეობის წარმომადგენელი ესწრება,
ოქმი მათი ხელმოწერითაც არის გამყარებული. ზოგჯერ
ოქმს ხელმოწერით ადასტურებს მოწვეული საზოგადოება.
უმეტესწილად კი ოქმებს თან ერთვის დამსწრეთა
საკონტაქტო ფურცელი, რაც ფაქტობრივად წარმოადგენს
დამადასტურებელ დოკუმენტს, რომ განხილვაში
დაინტერესებულმა საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღო.

სხდომის ოქმების დიდი ნაწილი დანრჩება შთაბეჭდილება,

⁹ იხ. საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ,
მუხლი 7 – 1.

რომ გზშ-ს ანგარიშების განხილვები ტარდება არა საზოგადოების ინფორმირების მიზნით, არამედ კანონის სავალდებულო მოთხოვნის შესასრულებლად. სხდომებს ხშირად ფორმალური სახე აქვს და ანგარიშების საჯარო განხილვას კანონი რომ არ ითვალისწინებდეს, ალბათ, ეს ფორმალური სხდომებიც არ ჩატარდებოდა.

ფორმალური სხდომების კარგი მაგალითია სხვადასხვა სხდომების იდენტური ოქმები. 2013 წლის 9 სექტემბრით დათარიღებული სხდომის ოქმის ტექსტი, რომელიც ასახავს კასპის რ-ნის სოფ. სამთავისში გამართულ შპს „იბერიაცემენტის“ საამქროს გზშ-ს საჯარო განხილვას, სიტყვასიტყვით მეორდება 2013 წლის 5 დეკემბრის სხდომის ოქმში, სადაც ასახულია ქალაქ მარნეულში შპს

თთ -ს სახითათო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს გზშ-ს საჯარო განხილვა. კიდევ ერთი მაგალითი: 2013 წლის 14 მარტის სხდომის ოქმის ტექსტი, რომელიც ეხება მარნეულის რ.-ნის სოფელ ყიზილ-აჯლოში შპს „მამედის“ გაჯის კვანძის საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის საჯარო განხილვას, სიტყვასიტყვით მეორდება 15.04.13. ოქმში, სადაც ასახულია ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისყურში შპს „სუპერ ბეტონის“ ასფალტის ქარხნის გზშ-ს საჯარო განხილვა.

ოქმების ნაწილის თანახმად, არის შემთხვევები, როდესაც სხდომებს საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებიან, მაგრამ ოქმში მათ მიერ დასმული კითხვები შეტანილი არ არის. წესით, ეს ნიშნავს, რომ განხილვისას საზოგადოებას არც ერთი კითხვა არ დაუსვამს. თუმცა, საკითხავია, რეალურად მართლა ასე იყო თუ არა. იქნებ, შემდგენელმა ოქმში ყველა კითხვა და პასუხი არ შეიტანა?

2012 წლის 1 მარტით დათარიღებულ სხდომის ოქმში, რომელიც ეხება თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის თბილისი-თონიჭალა და თონიჭალა-რუსთავის მონაკვეთების მშენებლობის პროექტის გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვას, აღნიშნულია, რომ სხდომას არასამთავრობო ორგანიზაციიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მაგრამ მათი ხელმოწერები ოქმზე არ არის. ოქმის ბოლო აბზაციში აღნიშნულია, რომ „შეხვედრაზე დასმული შეკითხვებისა და წინადადებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში“. თუმცა, საჯარო ინფორმაციის სახით სხდომის ოქმების მიღებისას გარემოს დაცვის სამინისტროს ოქმის დანართი არ მოუწოდებია,

რაც აჩენს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ მსგავსი დანართი შესაძლოა, არც არსებობს. ოქმიდან ირკვევა, რომ სხდომას დაესწრო ქვემო ქართლის რეგიონის უურნალისტი და ბლოგერი მანონ ბოკუჩავა. შემდეგ მან ამ კონკრეტული შესვედრის თაობაზე რეპორტაჟიც შოამზადა¹⁰. უურნალისტი წერს, რომ „მუნიციპალური განვითარების ფონდი საჯარო განხილვისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა... განხილვაზე ბევრი კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა. მგთ-ს მომსხენებელი ვერ აკონკრეტებდა გზის გაფართოებასთან დაკავშირებით ტექნიკურ კითხვებს. „მე არ ვიცი, სამწუხაროდ, გზა მარჯვნივ გაფართოდება, თუ მარცხნივ. ის ადამიანი, ვისაც უნდა წარემართა აღნიშნული განხილვა, ავად გახდა. მე კი ასეთი დეტალური ინფორმაცია არ მაქვს“ - აცხადებდა მგთ-ს მომსხენებელი“.

კვლევის მიმდინარეობისას უურნალისტ მანონი ბოკუჩავას დავუკავშირდით და დამატებით ვკითხეთ სხდომის დეტალების თაობაზე. მან გაიხსენა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სხდომის ჩატარების თაობაზე ინფორმირებული არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელის გზშ-ს ანგარიშის განხილვა იმართებოდა, აზიის განვითარების ბანკი აფინანსებდა და წესით, განხილვის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება საქართველოს კანონმდებლობაზე მაღალი სტანდარტით უნდა მომხდარიყო. შესვედრას ადგილობრივი მოქალაქეების მცირე ჯგუფიც დაესწრო, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სრულიად შემთხვევით გაიგეს განხილვის თაობაზე. ისინი კითხულობდნენ, პროექტის განხორციელების გამო, განსახლება ხომ არ ემუქრებოდათ.

კანონის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საზოგადოების წარმომადგენელთა შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, უზრუნველყოს შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის წერილობითი დასაბუთება და მათი ავტორისთვის (ავტორებისთვის) გაგზავნა. ეს წერილობითი დასაბუთება (შესაბამის წერილობით შენიშვნებთან და მოსაზრებებთან ერთად) საქმიანობის განმახორციელებელმა, გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების ამსახველ ოქმთან და გზშ-ის

10 მანონ ბოკუჩავას რეპორტაჟი იხ. ბმულზე: - <http://gardabaniherald.blogspot.com/2012/03/blog-post.html>

ანგარიშთან ერთად, უნდა წარადგინოს ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში¹¹.

2012-13 წლებთან შედარებით, 2014-15 წლის ოქმები შედარებით სრულყოფილია, რაც ვფიქრობთ, გარემოს დამცენელი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობისა და სხდომებისადმი მათი აქტიური დაინტერესების შედეგია. 2014-15 წლებით დათარიღებულ სხდომებზე ხშირად განიხილება გარემოს დაცვის სამინისტროს შენიშვნები და წინადადებები, რაც სხვა მონაწილეების შეკითხვებზე გაცემულ პასუხებთან ერთად შესულია ოქმებს თანდართულ კითხვა-პასუხის ცხრილებში. ზოგიერთ ცხრილში მხოლოდ გარემოს დაცვის სამინისტროს შენიშვნები და წინადადებებია. რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ შენიშვნებით კითხვა-პასუხის დანართი წინასწარ არის მომზადებული და განხილვაც ფორმალურად ჩატარდა, რათა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულ შენიშვნებზე პასუხები ოქმის სახით გაფორმებულიყო.

სხდომისოქმები, რომლებსაც ესწრებიანარასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათ მიერ ინფორმირებული საზოგადოების წარმომადგენლები, ბევრად სრულყოფილია და მოიცავს არსებით, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან კითხვებსა და პასუხებს. ასეთი ოქმების გაცნობისას ვრწმუნდებით, რამდენად მნიშვნელოვანია გზშ-ს ანგარიშების განხილვებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, განსაკუთრებით კი - ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის პროექტის სიახლოვეს მცხოვრები მოქალაქეების მონაწილეობა.

კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები მიგვანიშნებს, რომ გზშ-ს ანგარიშების განხილვებში სამოქალაქო საზოგადოების მეტად ჩართულობისა და ინფორმირების გარდა, დღის წესრიგში დგება გზშ-ს ანგარიშების განხილვების უფრო სრულყოფილი დოკუმენტირება.

რეკომენდაცია: კანონმდებლობით განისაზღვროს სხდომების სრული ვიდეო/აუდიო ჩაწერის უზრუნველყოფა, სხდომის მიმდინარეობის ზუსტი სურათის წარმოჩენისა და დაარქივების მიზნით.

11 იხ. საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ, მუხლი 7 - 3.

საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები: კომპენსაცია, დასაქმება, უსაფრთხოება...

გზშ-ს ანგარიშებში ძირითადად, განხილულია, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამათუ იმ პროექტმა ბუნებრივ გარემოზე - მცენარეებზე, ცხოველებზე, კლიმატზე, ჰაერზე. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წითელ ნუსხაში შეტანილი ცხოველების საბინადრო ადგილებისა და მცენარეების რაოდენობრივ აღწერას, მათი შეწუხებისა თუ ბუნებიდან ამოღების საკომპენსაციო საკითხებს. სოციალური საკითხები, ხშირად, გზშ-ს ანგარიშებში მეორე პლაზეა და ხშირად ისედაც ხდება, რომ ანგარიშების განხილვისას საქმიანობის განმახორციელებელს არა აქვს პასუხები ადამიანების განსახლების, უსაფრთხოებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

მაგალითად, თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის თბილისი-ფონიშვალა და ფონიშვალა-რუსთავის მონაკვეთების მშენებლობის პროექტის გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვისას მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენელმა აღიარა, რომ გზშ-ს ანგარიშში მოსახლეობის კომპენსაციის საკითხი არასწორად იყო დასმული¹². კერძოდ, გზშ-ს ანგარიშში ეწერა, რომ კომპენსაცია არ გაიცემა იმ მოქალაქეებზე, ვისაც საკუთრებაში არა აქვთ აღნიშნული ქონება. არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელმა გზშ-ს ანგარიშის ავტორებს შეასენა, რომ ეს ეწერა იმ პროექტის გზშ-ში, რომელსაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი - აზის განვითარების ბანკი აფინანსებს. ასეთ შემთხვევაში კი, პროექტზე, ქვეყნის კანონმდებლობის გარდა, ვრცელდება უშუალოდ აზის განვითარების ბანკის სტანდარტები. სწორედ, ამ სტანდარტების თანახმად, გზშ-ში მსგავსი პუნქტის არსებობა შეცდომაა, რადგან აზის განვითარების ბანკი კომპენსაციას გასცემს იმ ქონებაზეც, რომელიც მოსარგებლე პირს საკუთრებაში იურიდიულად არა აქვს¹³.

საინტერესოა, რომ სხდომაზე ასეთ მნიშვნელოვან

12 იხ. სტატია: «რუსთავი-თბილისის ჩქაროსნული გზის პროექტს მოსახლეობის განსახლების გეგმა, ჯერაც, არ აქვს» - <http://gardabaniherald.blogspot.com/2012/03/blog-post.html>

13 იხ. სტატია: «რუსთავი-თბილისის ჩქაროსნული გზის პროექტს მოსახლეობის განსახლების გეგმა, ჯერაც, არ აქვს» - <http://gardabaniherald.blogspot.com/2012/03/blog-post.html>

სოციალურ საკითხზე წამოჭრილი დისკუსია, რაც ურნალისტურ რეპორტაჟშია ასახული, სხდომის ოქმში დაფიქსირებული არ არის.

გზშ-ს ანგარიშების სხდომის ოქმები კარგად ასახავს, თუ როგორი მომხმარებლური დამოკიდებულება აქვს სახელმწიფო უწყებებს, ნიზნესასა და თვით მოქალაქეებსაც კი ბუნებრივი გარემოსადმი. თუ პროექტი ადამიანის საცხოვრებელ გარემოს და სოციალურ საკითხებს არ ეხება, ბუნებრივ გარემოში უხეში ჩარევა იშვიათად იწვევს დამსწრე საზოგადოების წუხილს. მარტივად რომ ითქვას, ადამიანებს ნაკლებად აინტერესებს, რა ზემოქმედებას მოახდენს ესა თუ ის ობიექტი ფლორაზე და ფაუნაზე. მათი მთავარი ინტერესის საგანია, რა ზემოქმედებას მოახდენს ობიექტი უშუალოდ მათ საცხოვრებელ გარემოზე. ხშირად არის შემთხვევები, როდესაც საქმიანობის განმახორციელებელი გარემოს დაზიანების რისკებს და პროექტის განხორციელების შემდგომ წარმოქმნილ სავარაუდო სოციალურ პრობლემებს (მაგალითად - ეკომიგრაცია) უპირისპირებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სხვა სახის სოციალური კეთილდღეობის (მაგალითად - დასაქმება, ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნა) არგუმენტებს: მართალია, ხუდონპესი აშენდება და სოფლები დაიტბორება, მაგრამ სამაგიეროდ, ქვეყანას მეტი ელექტროენერგია ექნება; საყდრისის უძველესი საბადო აღარ იარსებებს, მაგრამ სამაგიეროდ სახელმწიფოს ექნება ახალი ოქროს საბადო და ახალი შემოსავლები.

გარემოზე ზემოქმედებით მიღებული ნეგატიური შედეგები საზოგადოებას დიდწილად იმ შემთხვევაში აინტერესებს და კითხვებიც ამ მიმართულებით ისმება, თუკი ზემოქმედება გამოიწვევს სტიქიურ პროცესებს (მეწყერი, ეროზია, ტერიტორიებზე წყალმოვარდნებისა და დატბორვის რისკის ზრდა და ა.შ.) და ამით საფრთხე შეექმნება სოფლებს, ადამიანის საცხოვრებელ გარემოს.

გზშ-ს ანგარიშების განხილვებზე დამსწრე მოქალაქეებს, პირველ რიგში, აინტერესებთ, თავიანთი მიწებისა თუ სახლების ექსპროპრიაციის შემთხვევაში, რა ოდენობის კომპენსაციას მიიღებენ სახელმწიფოსგან. ხშირად უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ თვითნებურად შემოღობილი ნაკვეთების ჩამორთმევის სანაცვლოდ, სახელმწიფო არანაირ კომპენსაციას არ ითვალისწინებს.

მოსახლეობა განსაკუთრებით მტკიცნეულად რეაგირებს

გადასახლებაზე, როცა ე. წ. სტრატეგიული პროექტების განხორციელებისას დღის წესრიგში დგება ტრადიციული საცხოვრებელი ადგილიდან მათი განსახლება და იწყება ეკომიგრაციის რთული პროცესი.

თუკი პროექტის განხორციელების შემდგომ, მოსახლეობის გადასახლება არ იგეგმება, საზოგადოების პირველი რიგის ინტერესის საგანია, რამდენად მოახდენს გავლენას მათ ჯანმრთელობაზე ესა თუ ის პროექტი, რამდენად უსაფრთხო იქნება მათვის ახალი გარემო, სადაც პროექტის განხორციელების შემდეგ მოუწევთ ცხოვრება. ასეთ შემთხვევაში, მოქალაქეები, ასევე, კითხულობენ, შესაძლებელი იქნება თუ არა მშენებარე ან თუნდაც აშენებულ ახალ ობიექტზე მათი დასაქმება, მოიტანს თუ არა ახალ სამუშაო ადგილებს პროექტი.

დასკვნა

დღესდღეობით სოციალურ გარემოზე ზემოქმედების საკითხები შესულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებში, მაგრამ ამ დოკუმენტებში, მეტწილად, სრულყოფილად არ არის შეფასებული ყველა შესაძლო სოციალური პრობლემა და რისკი, რაც შეიძლება წარმოიქმნას ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელებისას. გამონაკლისია რამდენიმე გზშ-ს ანგარიში, სადაც პროექტის ფინანსური მხარდამჭერია მსოფლიოს ისეთი მსხვილი საფინანსო ინსტიტუტები, როგორიცაა - ევროპის რეგიონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და სხვა. ასეთ შემთხვევებში, სოციალურ პრობლემატიკას გზშ-ს ანგარიშებშიც შეტი ყურადღება ეთმობა და ანგარიშების განხილვის ეტაპზეც საზოგადოების ინფორმირების უფრო მაღალი სტანდარტები მოქმედებს.

გზს-ს ანგარიშებში, სავსებით ლოგიკურად, ხშირად დეტალურად და გამოწვლილვით არის აღწერილი ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედების შედეგები, რაც ნაკლებად აინტერესებს ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების არეალში მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც კონკრეტული პროექტების გზშ-ს ანგარიშების განხილვისას მათვის მტკიცნეულ სოციალურ თემებზე უფრო სვამენ შეკითხვებს.

2012-2015 წლების პერიოდის გზშ-ს ანგარიშების

საჯარო განხილვათა სხდომის ოქმების ანალიზმა აჩვენა, რომ მნიშვნელოვანია, გზშ-ს ანგარიშებში გაძლიერდეს სოციალური პრობლემატიკის კვალიფიციური შეფასება იმგვარად, რომ დოკუმენტი სრულად პასუხობდეს საზოგადოებისთვის ყველაზე მტკიცნეულ კითხვებს.

საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუკი ცალკე მომზადდება სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, როგორც დამოუკიდებელი კვალიფიციური ექსპერტიზა დაგეგმილ საქმიანობაზე დამასაბუთებელი დოკუმენტაციის შექმნისა და ამ საქმიანობაზე სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

თავის მხრივ, სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები, ცხადია, დაინტერესებულ მოქალაქეთა ბევრად უფრო აქტიური მონაწილეობით უნდა განიხილებოდეს, რისთვისაც აუცილებელია საზოგადოების ინფორმირების უფრო ეფექტური ფორმების დანერგვა, ვიდრე ამას დღეს გვთავაზობს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“.

ამ ეტაპზე, ვიდრე სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის ცალკე მომზადების საკითხი გადაწყვდება, მნიშვნელოვანია, გაუმჯობესდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების განხილვებში საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობა, განსაკუთრებით კი - იმ მოქალაქეების ჩართულობა, რომლებიც ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების არეალში ცხოვრობენ.

შესაბამისად, შემუშავდა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელთა გათვალისწინებით, სამომავლოდ შესაძლებელი იქნება პროცესის გაუმჯობესება.

რეკომენდაციები

გზშ-ს ანგარიშის განხილვის სხდომის თაობაზე ბეჭდურ მედიაში ინფორმაციის გამოქვეყნების გარდა, კანონით განისაზღვროს საზოგადოების ინფორმირების სხვა, უფრო ეფექტური ფორმები: მოსაწვევების დაგზავნა, კარდაკარი, პისტერების გაკვრა, ბუკლეტებისა და საინფორმაციო ფურცლების დარიგება, სოციალური რეკლამები და სხვ.

საქმიანობის განმახორციელებელს კანონმდებლობით დაევალდებულოს ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის პროექტის სიახლოვეს

მცხოვრები მოსახლეობის, ასევე - არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა დაინტერესებული ჯგუფების წერილობითი მოწვევის ვალდებულება.

კანონმდებლობით, ასევე, განისაზღვროს არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, აკადემიური წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა დაინტერესებული ჯგუფების პირდაპირი, მიზნობრივი ინფორმირება ელექტრონული ფოსტისა და სხვა თანამედროვე საკომუნიკაციო არხებით.

გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვის სხდომა, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი არ ესწრება, პირველ ჯერზე, უნდა გადაიდოს და გაგრძელდეს საზოგადოების უფრო აქტიური ინფორმირება, რათა შემდეგ ჯერზე მაქსიმალურად გამოირიცხოს გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა დაინტერესებული საზოგადოების გარეშე.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მეტი ძალისხმევა გასწიონ გზშ-ს ანგარიშების განხილვებით საზოგადოების სხვადასხვა აქტიური ფენის (უურნალისტები, აკადემიური წრეები, სტუდენტები და ა.შ.) წარმომადგენელთა დაინტერესებისათვის.

კანონმდებლობით განისაზღვროს გზშ-ს ანგარიშების განხილვის სხდომების სრული ვიდეო/აუდიო ჩაწერის უზრუნველყოფა, სხდომის მიმდინარეობის ზუსტი სურათის წარმოჩენისა და დაარქივების მიზნით.

ახლო მომავალში, სასურველია, ცალკე მომზადდეს სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, როგორც დამოუკიდებელი კვალიფიციური ექსპერტიზა დაგეგმილ საქმიანობაზე დამასაბუთებელი დოკუმენტაციის შექმნისა და ამ საქმიანობაზე სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად.

პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა პროექტის “სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები საქართველოს მაგალითზე”. პროექტი ხორციელდება საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრებისა და მიზნების მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

გამოცემაზე მუშაობდნენ: ავტორი: ალექო ცქიტიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ქეთევან პაპაშვილი
ანა კეკელიძე
ლელა ყაჭვიშვილი
ნინო შუშტაკაშვილი

საქართველო. თბილისი. სლავა მეტრეველის №4, 0112
ტელ:(+995 32) 2 30 62 21
ელ.ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge



**FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG**

**ANALYSIS OF THE PUBLIC
CONSULTATION MEETINGS
PROTOCOLS
2012-2015**

TBILISI, 2016

Introduction

The Law of Georgia determines the list of activities subject to compulsory ecological examination. It includes: processing of mineral deposits, construction of motorways of international and local importance or/and construction of high voltage (35 kWh and more) aerial and cable power transmission lines; distribution of hydropower plants (with the capacity of 2 megawatts and more) and thermal power stations (with a heat output of 10 megawatts or more); arrangement of water reservoirs (with a capacity of 10 000 cubic meters and more) and etc.¹

